"რეგისტრირებულია"
"დამტკიცებულია"

ს.ს.ი.პ. "სახელმწიფო ქონების
ეროვნული საგენტო"-ს
ბრძანებით №
„ " დეკემბერი 2013 წ

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი"

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი

2013 წ.

მუხლი 1. საერთო დებულებები

1. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში საზოგადოება) შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“.
3. საზოგადოება წარმოიქმნება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. საზოგადოების სამართლებრივი ფორმაა `შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შემოკლებით - შპს.
2. საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირს.
3.შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
4. საზოგადოების სრული დასახელებაა:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“.
5. საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიში ბანკში, მას შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები.
6. საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №51.

მუხლი 3. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო სერვისების განხორციელება.
2. საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოების და პარტნიორების ინტერესებს;
3. საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში - აუცილებელი ლიცენზიებისა და ნებართვების საფუძველზე;
4. საზოგადოების ძირითადი მიზანია მოგების მიღება წესდებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობის შედეგად.

მუხლი 4. კაპიტალი, საზოგადოების ქონება

1. საზოგადოების კაპიტალი შედგება პარტნიორების შენატანების ჯამისაგან.

2. საზოგადოების კაპიტალის წილთა 100%-ის მესაკუთრეა სახელმწიფო.

3. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით, საზოგადოებას უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აიღოს მიზნობრივი სესხები, მოიზიდოს თავისუფალი სახსრები, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისაგან.

4. საზოგადოების კაპიტალი შეიძლება შეიცვალოს აქციონერის (აქციონერების) გადაწყვეტილებით.

5.კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას არ საჭიროებს.

6.კაპიტალში არაფულადი შენატანის ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი ექსპერტი (აუდიტი).

მუხლი 5. პარტნიორის უფლება-მოვალეობანი

1.საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორი არის სახელმწიფო. საზოგადოების პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო";

2. პარტნიორის ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების სამეურნეო საქმიანობაში და მართვაში წესდებით გათვალისწინებული წესით;

ბ) მოითხოვოს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, გააკეთოს დოკუმენტის პირები, თავისივე დადგენილი წესით და ფორმებით მოითხოვოს ინფორმაცია დირექტორისაგან;

გ) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მოგების ან სხვა საკუთრების განაწილებაში, მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული წილის ოდენობის შესაბამისად,

დ) დასვას საკითხი პარტნიორთა კრების წინაშე დირექტორის გამოწვევის თაობაზე;

ე) მოითხოვოს სამეურნეო საქმიანობის ან მთლიანი წლიური ბალანსის შემოწმება, თუ მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

3. პარტნიორი ვალდებულია:

ა) დაიცვას საზოგადოების წესდება;

ბ) იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 6. საზოგადოების მმართველობითი ორგანოები

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია:

ა) პარტნიორთა საერთო კრება;

ბ) დირექტორი.

მუხლი 7. პარტნიორთა საერთო კრება

1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება.

2. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების წესი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით.

3. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – დირექტორსაც, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ

მუხლი 11. საზოგადოების საქმიანობის კონტროლი

1. საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს პარტნიორთა კრება.
2. საჭიროების შემთხვევაში პარტნიორთა კრება ნიშნავს აუდიტორს (შიდა აუდიტორი).
3. საზოგადოების საფინანსო საქმიანობის კონტროლისათვის, საზოგადოება იწვევს დამოუკიდებელ აუდიტორს, რომლის კანდიდატურასაც უთანხმებს პარტნიორთა საერთო კრებას სულ ცოტა ერთი წლის ვადით.
4. სახელმწიფო საზოგადოების საქმიანობას აკონტროლებს ამ წესდებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

1.საზოგადოება თავის ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით
2. დავა საზოგადოებასა და საზოგადოების მუშაკს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
3.საზოგადოების დირექტორის, ადმინისტრაციის და მუშაკების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 13. საზოგადოების არსებობის შეწყვეტა

1. საზოგადოების არსებობის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით:
ა) რეორგანიზაციით (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა);
ბ) ლიკვიდაციით.
2. საზოგადოები ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება ან სასამართლო, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
3. პარტნიორთა საერთო კრება საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდატორი).
4. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლო, სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდატორი) ნიშნავს სასამართლო.
5. სალიკვიდაციო პერიოდში საზოგადოებას მართავს სალიკვიდაციო კომისია (ლიკვიდატორი).
6. კომპანიის ლიკვიდაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.
7. კომპანიის რეორგანიზაცია ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.
8. საზოგადოება გაუქმებულად, ლიკვიდირებულად ითვლება სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 14. დამატებითი პირობები

1. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება (მუხლი) დაკარგავს ძალას ან იქნება ბათილად, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.
2. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

3. წესდების ყველა ცვლილება და დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
4. საზოგადოების სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და სამეწარმეო რეესტრში შეტანილი სავალდებულო ფაქტების ცვლილება ასევე საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება ძალაში შედის მისი რეგისტრაციის დღიდან.
5. კომპანიის მოქმედი წესდების თითო ეგზემპლარი ინახება თავად საზოგადოებაში, შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში და სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში.
6. წესდება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად, ყველა ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

პარტნიორის სახელით:

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს"
სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის
საწარმოთა მართვის სამმართველოს
უფროსი სპეციალისტი

მაია ავალიანი